# ხელშეკრულება №18

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ზესტაფონი 10.05.2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N5 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის კახაბერ ჩიხელიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "ოპტიმალი" ს/კ 430024582 (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია კომპიტერთან დაკავშირებული მოწყობილობების შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ CPV30192700, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 69 (სამოცდაცხრა) ლ. 0 თ.
2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ.ზესტაფონი,წერეთლის ქ№3)

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.
5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

5.6. მხარეები თანხმდებიან რომ ხელშეკრულებაში ასახული პერსონალური და კომერციული ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნას სახ შესყიდვების (SPA.GE) პორტალის CMR მოდულის შესაბამის გვერდზე.

### მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

### მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

### მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

### მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა**

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 12. ხელშეკრულების ენა**

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

**მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის

20 მაისიდან 2018 წლის 20 ივნისამდე.

**მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

შემსყიდველი:

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №-5 საჯარო სკოლა
ს/კ 230053517
მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ№3
ტელ: 251102

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE65BG0000000151288503

დირექტორი: ვ.ჩიხელიძე

(ხელმოწერა) ბ.ა

მიმწოდებელი:

შპს „ოპტიმალი“
ს/კ 430024582
მის:ზესტაფონი
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE34BG0000000321464600

დირექტორი: გ.ღვინიაშვილი

(ხელმოწერა)

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

| საქონლის დასახელება | | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| Swich TP-Link 8port | | ცალი | 1 | 30 | 30 |
| Mouse Geniuns DX120 | | ცალი | 3 | 13 | 39 |
| ჯამი: | | | | | 69 |

„შემსყიდველი"
სსიპ ქალაქ ზესტაფონის #5 საჯარო სკოლის
დირექტორი: ვ ჩიხელიძე

„მიმწოდებელი"
შპს „ოპტიმალი" გ.ღვინიაშვილი

მიღება - ჩაბარების

აქტი

ზესტაფონი 10.05.2018 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი,ერთის მხრივ შემსყიდველი სსიპ ზესტაფონის #5 საჯარო სკოლა შემდგომში „შემსყიდველი"მისი დირექტორის კახაბერ ჩიხელიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ოპტიმალი" დირექტორი გ.ღვინიაშვილი შემდგომში „მიმწოდებელი" ვადგენთ ამ აქტს მასზედ რომ შესრულებულია ხელშეკრულება N 18. 10.05.2018 წ. თანახმად დადებული პირობა.

1. შესყიდვის ობიექტია:

| საქონლის დასახელება | | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| Swich TP-Link 8port | | ცალი | 1 | 30 | 30 |
| Mouse Geniuns DX120 | | ცალი | 3 | 13 | 39 |
| ჯამი: | | | | | 69 |

რომლის ღირებულება 69 (სამოცდაცხრა) ლარი მიმწოდებელს გადაერიცხება საბანკო ანგარიშზე .

აქტი სწორია რაზედაც ხელს ვაწერთ:

„შემსყიდველი"

ქალაქ ზესტაფონის #5 საჯარო სკოლის

დირექტორი: კ ჩიხელიძე

„ მიმწოდებელი"

შპს „ოპტიმალი"

დირექტორი: გ.ღვინიაშვილი

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0375922040 |
|---|---|---|

| 2 | 10/05/2018 | 3 | 13:43:08 |
|---|---|---|---|
| | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | | დრო (საათი, წუთი) |

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს ოპტიმალი | 430024582 | 5 | სსიპ ქალაქ ზესტაფონის #5 საჯარო სკოლა | 230053517 |
|---|---|---|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი | | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | ზესტაფონი აღმაშენებლის71 |
|---|---|
| | ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი) |
| 8 | ზესტაფონი წერეთლის ქ. #3 |
| | ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი) |

| 9 | საზოგადოებრივი | 10 | X | |
|---|---|---|---|---|
| | ტრანსპორტირების სახე | | სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი | მისაბმელი |

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X | 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | თანხა ლარებში |

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Switch TP-link 8port | 125 | ცალი | 1.0000 | 30.0000 | 30.0000 |
| 2 | Mouse Genius DX120 | 686 | ცალი | 3.0000 | 13.0000 | 39.0000 |

| 13 | 69 - სამოცდაცხრა ლარი და ნული თეთრი |
|---|---|
| | მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად) |

| 14 | | 15 | |
|---|---|---|---|
| | გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი) | | მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი) |
| 16 | | 17 | |
| | ხელმოწერა | | ხელმოწერა |

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | | |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | უნაღდო |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 10/05/2018, 13:43:13

**ელექტრონული საგადახდო დავალება №** 5903

ინტერნეტ ბანკი — საქართველოს ბანკი / BANK OF GEORGIA

Transfer Order No 5903

თარიღი/Date: 10/05/2018 რეფერენს ნომერი/Reference number: 6593385601

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

| | | |
|---|---|---|
| გადამხდელის დასახელება/Originator: სსიპ ქალაქ ზესტაფონის #5 საჯარო სკოლა | ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit): GE65BG0000000151288503GEL | თანხა/Amount: 69 GEL |
| გადამხდელის ბანკი/Originator Bank: საქართველოს ბანკი | ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22 | თანხა სიტყვებით/Amount in words: სამოცდაცხრა ლარი 00 თეთრი |
| გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name: სსიპ ქალაქ ზესტაფონის #5 საჯარო სკოლა | საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer: 230053517 | |
| მიმღების დასახელება/Recipient: sps "optimali" | ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code: GE34BG0000000321464600 | ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank: 10/05/2018 |
| მიმღების ბანკი/Recipient Bank: სს "საქართველოს ბანკი" | ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22 | გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank: 10/05/2018 |
| გადახდის დანიშნულება/Description: komp.mowyobiloba | | ხელმოწერა/Signature: |
| დამატებითი ინფორმაცია/Additional Info: | | შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK |

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature: